დანართი №1

შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნანა ხითარიშვილი
წევრები:
მაია ხურცილავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს თავისუფალი ხედვის აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406460235

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 31 იანვრის № MES 0 26 0000096002 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება.

შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიაში“ ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 9 თებერვალს, მისამართზე: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №50. ვიზიტამდე ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა პოზიციები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი (დანართი 1).

ვიზიტის დროს, სრულყოფილი შეფასების მიზნით, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები. ექსპერტებმა დაათვალიერეს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასების მიზნით ჩატარდა ინტერვიუ დაწესებულების ხელმძღვანელთან, ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ასევე, დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და არსებული მატერიალური რესურსები.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესი წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში და წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ბუღალტრული აღრიცხვა	40	41	-	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ბუღალტრული აღრიცხვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილ შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დამტ. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის №01/12 ბრძანებით), რომლის მიხედვითაც 06.02.2026–02.08.2026 პერიოდში დაგეგმილია 32 ერთეული კომპიუტერის შეძენა და აუდიტორია №312-ის სრულად მოწყობა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა დადგენილ ვადებში, არაუგვიანეს 2026 წლის 2 აგვისტოსი.

.V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 6 მარტის MES 2 26 0000275690 წერილის საფუძველზე წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. რის მიხედვითაც, დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ შესაბამისობის რეკომენდაციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი თრიალეთის ქ.N 50
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	128
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	41
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	128

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

.....
.....
.....
.....
.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ბუღალტრული აღრიცხვა“ ახორციელებს 2025 წლიდან. ავტორიზაციით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს. რეგისტრაციის პროცესში პროგრამის მიმართ დაფიქსირდა მაღალი ინტერესი — ჯამში დარეგისტრირდა 189 აპლიკანტი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება მისაღები ადგილების რაოდენობას და ნათლად მიუთითებს პროგრამისა და შესაბამისი პროფესიის მიმართ არსებულ მაღალ და სტაბილურ მოთხოვნაზე. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2024 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზის მიხედვით, შრომის ბაზარზე ფიქსირდება კვალიფიციურ ბუღალტრებზე მზარდი მოთხოვნა, რაც ასევე ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინტერესისა და მოთხოვნის ზრდის ობიექტურ საფუძველს. ამ ეტაპზე დაწესებულებას არ გააჩნია თავისუფალი ადგილი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 19 თვეს. შესაბამისად, 2026 წელს მიღების გამოცხადების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისაღები ადგილების რაოდენობის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის უწყვეტობა და არ შეფერხდეს მიღების ციკლი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება ორი A და ორი AB გარემო.

A გარემო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A გარემოში (აუდიტორია №310) ხორციელდება მოდული „უცხოური ენა“ (1–5 კვირის განმავლობაში). აუდიტორია აღჭურვილია 10 ოთხადგილიანი მაგიდით (ჯამში 40 ადგილი), 40 სკამით, კომპიუტერით (1) მონიტორით (1) და პრინტერით (1) .

A გარემო (აუდიტორია №108) აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდითა და სკამით, კომპიუტერით (1), მონიტორითა (1) და პრინტერით (1)

ორივე A გარემო ჯამში უზრუნველყოფს ორ ცვლაში 128 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობას.

AB გარემო:

AB გარემო (აუდიტორია №311) აღჭურვილია 8 ოთხადგილიანი მაგიდით, 32 პერსონალური კომპიუტერით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდითა და სკამით (1), მასწავლებლის პერსონალური კომპიუტერით (1), პრინტერით (1) და დემონსტრირების ციფრული საშუალებით (1). აღნიშნული აუდიტორია უზრუნველყოფს ორ ცვლაში 64 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობას.

AB გარემო (აუდიტორია №312) აღჭურვილია 8 ოთხადგილიანი მაგიდით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდითა და სკამით (1), მასწავლებლის კომპიუტერით (1), პრინტერით (1), დემონსტრირების ციფრული საშუალებით (1) და 4 პერსონალური კომპიუტერით.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის №01/12 ბრძანებით), რომლის მიხედვითაც, 06.02.2026–02.08.2026 პერიოდში დაგეგმილია 32 ერთეული კომპიუტერის შეძენა და აუდიტორია N 312 მოწყობა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, **უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა დადგენილ ვადებში, არაუგვიანეს 2026 წლის 2 აგვისტოსი**. აღნიშნული აუდიტორიაც კომპიუტერული რესურსის სრულად უზრუნველყოფის შემთხვევაში შეძლებს ორ ცვლაში 64 პროფესიული სტუდენტის გამტარუნრიანობას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 განმახორციელებელი პირი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, მხოლოდ დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერების, ჩატარებული ინტერვიუირების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ სასწავლო გეგმის, ადამიანური რესურსების ანალიზის და წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით დგინდება, რომ გაზრდილის კვოტის პირობებში დაწესებულებას შეუძლია ერთ ცვლაში 64 პროფესიული სტუდენტის მიღება, ხოლო ორ ცვლაში — ჯამში 128 პროფესიული სტუდენტის მიღება.

ინდიკატორი 2.2.1.1. მეტწილ შესაბამისობაშია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 1 აპრილის №01/1 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შეტანილია დირექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს №01/79 ბრძანებით) დამტკიცებულია შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ დებულება. დებულებით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა, მისი ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ისე, რომ მასში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას. პროგრამას თან ერთვის დანართი, რომელშიც წარმოდგენილია განმახორციელებელი პერსონალის დეტალური სია, რაც ადასტურებს აკადემიის მიერ პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების მიზნით აკადემიას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას. შედეგად, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი განმახორციელებელი პირი. სასწავლო გეგმისა და გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე, ასევე მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის: 7 ახორციელებს ზოგად მოდულებს, 14 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს, 2 ახორციელებს როგორც ზოგად, ასევე პროფესიულ მოდულებს. 2 ახორციელებს ქართული ენის მოდულებს. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო დატვირთვის განაწილება უზრუნველყოფს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ოპტიმალურ ბალანსს, რაც ქმნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს განმახორციელებელთა რეალური დატვირთვა და სასწავლო ცხრილები. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს და შეისწავლეს მათი პირადი საქმეები. გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადასტურდა განმახორციელებელთა შესაბამისი ცოდნა, უნარები და პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი კომპეტენციები, ასევე ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა და შესრულება. **ზემოაღნიშნულის საფუძველზე დასტურდება, რომ გაზრდილი კვოტის პირობებში პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური მასწავლებელი და პროგრამის განხორციელების მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.**

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ფარგლებში ჩართული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულ პირებს პირადი საქმით უდასტურდებათ შესაბამისი განათლება და/ან სწავლებისა და/ან პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ კომპეტენცია, როგორც დარგობრივი, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ინდკატორი 2.1.1.3 შესაბამისობასია

4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - „ბუღალტრული აღრიცხვა“ ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც დარგში მუშაობის, ასევე სწავლების გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობასია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა საგანმანათლებლო რესურსი. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში . ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მიხედვითაც საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს: სასწავლო მასალის ადაპტაციას და მორგებას სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რაც მოიცავს: ტექსტის გაზრდილი შრიფტით გამოყენებას; აუდიო და ვიდეო ვერსიებს; მარტივად მომზადებულ ტექსტებს; ბრაილის შრიფტით დამზადებულ მასალებს და სხვა ალტერნატიულ ფორმატებს. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. . აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პირი არ ირიცხება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობისგათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 11 პროფესიული სტუდენტი. შემოსავლების ნაწილში შედის: სტუდენტის გადასახადი, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალისა და ნედლეულის, დიპლომის დანართის გაცემის, კომუნალური გადასახადების, ადმინისტრაციის ანაზღაურების და სხვა გაუთვალიწინებელ ხარჯებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ბუღალტრული აღრიცხვა“ განმახორციელებელი პირების და ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2025 წლის 29.12 N 01/134 ბრძანება);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ ბუღალტრული აღრიცხვა“ მთლიანი პაკეტი (დამტ.შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2024 წლის 19.09 N 01/34 ბრძანებით ცვლილება შესულია შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის ხელმძღვანელის 2026 წლის 06 თებერვლის N 01/13 ბრძანება)
- თავისუფალი ხედვის აკადემიის დებულება (დამტ დირექტორის 2024 წლის 01 აპრილის N 01/1 ბრძანებით ცვლილება შესულია დირექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს N 01/79 ბრძანება)
- თავისუფალი ხედვის აკადემიის საშტატო თანამდებობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ (დამტ. აკადემიის დირეტქორის ბრძანება N 01/79 (27/08/2025)
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დამტ. დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის №01/12 ბრძანება);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ კვოტის გაზრდის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის ცხრილი;
- აუდიტორიების დატვირთვის ცხრილი;
- www.vet.emis.ge;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

06.03.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: